

ინფორმაცია

ქ. კიევში (უკრაინა) „შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის ერთობლივი, პარალელური აუდიტის“ ფარგლებში გამართული პირველი სამუშაო შეხვედრის შესახებ

2010 წლის 23 ივნისს უკრაინის საანგარიშო პალატის თაოსნობით პროექტის – „შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის ერთობლივი, პარალელური აუდიტის“ - ფარგლებში, კიევში, უკრაინის დედაქალაქში, ჩატარდა პირველი სამუშაო შეხვედრა. საქართველოს კონტროლის პალატის მხრიდან აუდიტში მონაწილეობდა აუდიტორთა ჯგუფი. შეხვედრის პარალელურად, 2010 წლის 24-25 ივნისს, გაიმართა ევროპის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების კავშირის (EUROSAI-ს) ფარგლებში შექმნილი სპეციალური ჯგუფის მე-2 შეხვედრა. აღნიშნული ჯგუფის საქმიანობის სფეროა: „სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი სახსრების აუდიტი“.¹

2010 წლის 23 ივნისს გამართულ სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს, თურქეთის, რუმინეთის, რუსეთისა და უკრაინის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების, აგრეთვე, უკრაინის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლები.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ერთობლივი აუდიტის ძირითად მიზნებს, კერძოდ:

- საერთშორისო ხელშეკრულებებით² ნაკისრი ვალდებულებებისა და ერთობლივი პროექტების ფარგლებში განხორციელებული იმ ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება, რომლებიც მიმართულია შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ. ასევე, ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების ეფექტიანი გამოყენების კვლევა და მონიტორინგი;
- შავი ზღვის აუზის დაბინძურების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მოპოვება-დამუშავება და შესაბამისი დასკვნის მომზადება;
- დაბინძურების შემცირებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით რეკომენდაციებისა და გასატარებელი ღონისძიებების შემუშავება.

¹ ამ ეტაპზე ჯგუფი საქმიანობს უკრაინის საანგარიშო პალატის ხელმძღვანელობით.

² „შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენცია“ - ქ. ბუქარესტი, 1992 წელი. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 1993 წელს.

პროექტის განხორციელების გაადვილების მიზნით, უკრაინულმა მხარემ კოორდინირებული აუდიტის წევრებს შესთავაზა მიმდინარე აუდიტის პროგრამის 3 ეტაპად განხორციელება. კერძოდ: პირველი ეტაპის აუდიტი დაეთმო მხოლოდ შავი ზღვის ჩამდინარე წყლებით დაბინძურებასა და წყლის ხარისხის მონიტორინგს, ხოლო მომდევნო ეტაპები - ნავთობის ავარიულ ჩაღვრასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ მომზადდება აუდიტის ერთობლივი დასკვნა.

აუდიტის პირველი ეტაპის დასრულება დაგეგმილია 2010 წლის ოქტომბრისთვის. საგულისხმოა, რომ აუდიტის მონაწილე თითოეულმა ქვეყანამ უნდა განხორცილოს ეროვნული აუდიტი თითოეულ საკითხზე ცალკე-ცალკე ან აუდიტი, რომელიც მოიცავს სამივე საკითხს. შეხვედრის მსვლელობისას გაირკვა, რომ პროექტის მონაწილე ქვეყნები აუდიტის განხორციელების სხვადასხვა სტადიაზე იმყოფებიან. ასე მაგალითად:

- უკრაინის საანგარიშო პალატა - აუდიტის დასრულების სტადიაზე;
- რუსეთისა და თურქეთის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტები - ძირითად სტადიაზე;
- რუმინეთისა და საქართველოს უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტები - დაგეგმვის ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ ერთობლივი აუდიტი INTOSAI-ს მიერ დამუშავებული სახელმძღვანელოს „უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებს შორის კოოპერატიული აუდიტის ჩატარების შესახებ“ ჩარჩოებში ხორციელდება.

შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივი აუდიტის დასკვნის სტრუქტურასა და იმ საერთაშორისო და სახელმწიფო ორგანიზაციების ჩამონათვალზე,³ რომლებსაც წარედგინება აუდიტის დასკვნა. აქცენტი გაკეთდა აუდიტის მეთოდოლოგიაზე. აღინიშნა, რომ მეთოდოლოგიებში განსხვავებებმა შესაძლოა სხვაობები მოგვცეს აუდიტის შედეგებში და გაართულოს მათი შეჯამების საკითხი, ამიტომ გაცემულ იქნა რეკომენდაციები, რომ აუდიტი განხორციელდეს შეთანხმებული, ოპტიმალური მეთოდოლოგიით.

³ შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კომისია; ევროპის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების კავშირი (EUROSAI); ევროპის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების კავშირის გარემოსდაცვითი სამუშაო ჯგუფი (EUROSAI WEGA); მონაწილე ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტი, საკანონმდებლო ორგანო და მთავრობა.

ხაზი გაესვა კოორდინირებული აუდიტის უპირატესობას, რაც გამოიხატება ქვეყნებს შორის არსებული გამოცდილების გაზიარების, „საუკეთესო პრაქტიკის“ დანერგვისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობაში. აღინიშნა, რომ აუდიტის პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია არა მარტო სწორი მეთოდოლოგიისა და ზუსტ მონაცემთა ბაზების არსებობა, არამედ მსგავსი პარამეტრებით მოქმედება და რაც მთავარია, კომპეტენტური ექსპერტების ჩართულობა.

მხარეებმა აუდიტის პირველ ეტაპზე შესრულებული სამუშაოების შედეგების შეჯამების, ერთობლივი დასკვნისა და რეკომენდაციების მომზადების მიზნით, მიზანშეწონილად ჩათვალეს კიდევ ერთი სამუშაო შეხვედრის ორგანიზება 2010 წლის სექტემბერში.

2010 წლის 24-25 ივნისს გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდა 10 ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტი (SAI), ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP-ის), უკრაინის სამრეწველო პოლიტიკის სამინისტროს, წყლის რესურსების მართვის კომიტეტის, მეცნიერებათა აკადემიისა და სახელმწიფო საკუთრების დაცვის ფონდის წარმომადგენლები.

EUROSAI-ს სპეციალური ჯგუფის⁴ მე-2 შეხვედრაზე მოხსენებები წარმოდგენილ იქნა შემდეგ საკითხებზე:

- 1. სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია და მათი პრევენცია;**
- 2. საწარმოო ობიექტებზე ტექნოლოგიური კატასტროფების პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია.**

პირველ საკითხთან დაკავშირებით პრეზენტაციები და მოხსენებები წარადგინეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP-ის), უკრაინისა და რუსეთის საანგარიშო პალატის, ასევე, ნორვეგიის აუდიტორული ოფისის წარმომადგენლებმა.

მოხსენებებში ყურადღება გამახვილდა სტიქიური უბედურებების გამომწვევ ძირითად მიზეზებსა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებებზე. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ რიგ შემთხვევებში ურბანული ტერიტორიების შერჩევა ხდება წინასწარი კვლევებისა და ექსპერტთა დასკვნების გაუთვალისწინებლად, რაც იწვევს დასახლებებისა და ეკონომიკურად აქტიური ცენტრების აღმოცენებას იმ რეგიონებში, სადაც მაღალია

⁴ საქმიანობის სფეროა „სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი სახსრების აუდიტი“

სტიქიური უბედურებების ალბათობა. რეკომენდაციები გაიცა პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით მოსალოდნელი სტიქიური უბედურებების შესახებ შეტყობინებისა და შედეგების სალიკვიდაციო სისტემების განვითარებაზე, ამ მიმართულებით როგორც დაფინანსების, ასევე, ადამიანური რესურსების ზრდის აუცილებლობასა და მათ ეფექტიან გამოყენებაზე.

მეორე საკითხთან დაკავშირებით მოხსენებები გააკეთეს უკრაინის საანგარიშო პალატის წარმომადგენლებმა. აღინიშნა, რომ ტექნოლოგიური კატასტროფების მოსალოდნელი შედეგები რიგ შემთხვევებში იმდენად მასშტაბურია, რომ ისინი საფრთხეს უქმნიან არა მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოს, ხოლო ამ შედეგების ლიკვიდაცია თანამედროვე მეცნიერული მიღწევების პირობებში თითქმის შეუძლებელია ან/და განუსაზღვრელი ოდენობის ეკონომიკური რესურსების ხარჯვასთანაა დაკავშირებული. ამ კუთხით მოსალოდნელი შედეგების პრევენცია მოითხოვს ერთობლივი მონიტორინგის სისტემის გაძლიერებას.

შეხვედრაზე განიხილებოდა EUROSAI-ს სპეციალური ჯგუფის როგორც მიმდინარე საქმიანობის შედეგები, ასევე, ის სამუშაო გეგმა და პროექტები, რომელთა განხორციელება 2011-2012 წლებისთვისაა გათვალისწინებული.